ევროკავშირი საქართველოსთვის
Project funded by the European Union

World Health Organization
European Region

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

NCDC
ადამიანთა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
GEORGIAN NATIONAL CENTER FOR DISEASE CONTROL AND PUBLIC HEALTH

საინფორმაციო ფურცელი ჯანდაცვის მუშაკებისათვის

პაპილომავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინა

ოთხვალენტიანი აპვ ვაქცინა თეთრი ფერის გაუმჭვირვალე სითხეა, რომელიც შეიცავს პაპილომავირუსის 6, 11, 16 და 18 ტიპების დამუშავებულ და გასუფთავებულ L1 სტრუქტურის ცილებს. ვაქცინის ერთი საინექციო დოზა (0.5 მლ) შეიცავს აპვ LI ცილას შემდეგი რაოდენობებით: ტიპი 6 (20 მკგ); ტიპი 11 (40 მკგ); ტიპი 16 (40 მკგ); ტიპი 18 (20 მკგ).

ვაქცინაციის სქემა

აცრა ტარდება 10 - 11 - 12 წლის გოგონების ასაკობრივ ჯგუფში, აცრების კურსი არის ორდოზიანი, აცრებს შორის მინიმალური ინტერვალია 6 თვე. ვაქცინაციის დაწყების მინიმალური ასაკია 9 წელი.

15 წლამდე ასაკის გოგონების აპვ ვაქცინაციის კურსი არის ორ დოზიანი. მინიმალური ინტერვალი დოზებს შორის არის 6 თვე.

15 წლის და უფროსი ასაკის გოგონებში ვაქცინაციის კურსი არის 3 დოზიანი (0, 2 და 6 თვე). პირველ და მეორე დოზას შორის მინიმალური ინტერვალი შესაძლებელია იყოს 1 თვე, ხოლო მეორე და მესამე დოზას შორის 3 თვე.

საინექციო დოზა

ერთი საინექციო დოზა შეადგენს 0,5 მლ-ს.

ინექციის ადგილი

აცრა კეთდება კუნთში, დელტისებური კუნთის ზედა მესამედზე.

პაპილომავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინის უსაფრთხოება და იმუნიზაციის შემდგომ განვითარებული არასასურველი მოვლენები

ვაქცინას აქვს უსაფრთხოების მაღალი პროფილი. მძიმე რეაქციებიდან იშვიათად შეიძლება აღინიშნოს ანაფილაქსია (1,7 -2,6 მილიონ დოზაზე). მსუბუქი რეაქციებიდან შეიძლება აღინიშნოს ინექციის ადგილზე სიწითლე, შეშუპება და მტკივნეულობა, რომელიც მკურნალობის გარეშე გაივლის. ასევე შეიძლება აღინიშნოს ტემპერატურის მომატება, თავბრუსხვევა და გულისრევა. გულის წასვლა მოზარდებში ცნობილი მოვლენაა, რომელიც შეიძლება განვითარდეს ნებისმიერი ინექციის დროს, ამიტომ ვაქცინაციისას და ვაქცინაციიდან 15 წუთის განმავლობაში მოზარდი უნდა იყოფებოდეს მჯდომარე მდომარეობაში.

უკუჩვენება:

მძიმე ალერგიული რეაქცია ვაქცინის წინა დოზაზე ან ვაქცინის რომელიმე კომპონენტზე;

გაფრთხილება:

საშუალო სიმძიმის ან მძიმე მწვავე დაავადება ტემპერატურით ან მის გარეშე – ვაქცინაცია უნდა გადაიდოს გამოჯანმრთელებამდე. ორსულობა;

შენახვის პირობები

ვაქცინა ინახება +2^{0}C - +8^{0}C ტემპერატურაზე.

აცრის ჩატარების წინ იხილეთ ვაქცინის თანმხლები ინსტრუქცია

წყაროები

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია. იმუნიზაცია პრაქტიკაში: პრაქტიკული იმუნიზაციის სახელმძღვანელო სამედიცინო პერსონალისთვის

https://www.who.int/publications/i/item/immunization-in-practice-a-practical-guide-for-health-staff

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 16 სექტემბრის №01-60/ნ ბრძანება; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №01-51/ნ

https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4869455?publication=0

მასალა მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. აქ გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს და შესაძლოა არ ასახავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.